



NATIONAL  
DEMOCRATIC  
INSTITUTE

**ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საერთაშორისო სადამკვირვებლო  
მისიის განცხადება საქართველოს 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე  
ტურთან დაკავშირებით**

*29 ნოემბერი, 2018  
თბილისი*

წინამდებარე განცხადება წარმოდგენილია ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საარჩევნო სადამკვირვებლო დელეგაციის მიერ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების 2018 წლის 28 ნოემბრის მეორე ტურთან დაკავშირებით. დელეგაციას, რომელიც ხუთ ქვეყნიდან წარმოდგენილი დამკვირვებლებისგან შედგებოდა, ხელმძღვანელობდნენ: პერ ეკლუნდი, ელჩი და ევროკავშირის დელეგაციის ყოფილი ხელმძღვანელი საქართველოში; ლორი ფულტონი, აშშ-ის ყოფილი ელჩი; ლარა ლინდერმანი, ატლანტიკის საბჭოს ევრაზიის ცენტრის მკვლევარი; მარია ბაბიჩი, საერთაშორისო ექსპერტი საარჩევნო საკითხებში; და ლორა თორნტონი, NDI-ის გლობალური ექსპერტი და საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი. წინამდებარე განცხადება მოიცავს პერიოდს 29 ოქტომბრიდან 28 ნოემბრის ჩათვლით და ეფუძნება ოთხი გრძელვადიანი ანალიტიკოსის მიერ გაწეული სამუშაოს შედეგებს, NDI-ის [წინასაარჩევნო მისიის 2018 წლის ივლისის ანგარიშს](#) და NDI-ის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის [განცხადებას 28 ოქტომბრის პირველ ტურთან](#) დაკავშირებით.

NDI-ის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის მიზანია საარჩევნო პროცესის სხვადასხვა ასპექტის ზუსტი და მიუკერძოებელი შეფასება და რეკომენდაციების გაცემა, რომელიც მშვიდობიანი, სანდო არჩევნებისა და პროცესის მიმართ საზოგადოების ნდობის განმტკიცებას ემსახურება. დელეგაცია მიიჩნევს, რომ არჩევნების სანდოობასა და ლეგიტიმაციას საბოლოოდ საქართველოს მოსახლეობა შეაფასებს. NDI-იმ სადამკვირვებლო მისია [არჩევნების საერთაშორისო დამკვირვების პრინციპების შესახებ დეკლარაციისა](#) და მისი თანმდევი საერთაშორისო საარჩევნო დამკვირვებლების ქცევის კოდექსის დაცვით განახორციელა.

დელეგაცია ხაზს უსვამს, რომ ეს განცხადება არის წინასწარი. ოფიციალური შედეგები ჯერ საბოლოო არ არის და საარჩევნო პროცესებში წამოჭრილი საჩივრების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული. NDI გააგრძელებს

არჩევნების შემდგომ პერიოდზე დაკვირვებას და, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით განცხადებებსაც გააკეთებს.

## შეჯამება

საქართველოს პრეზიდენტის 28 ოქტომბრის არჩევნების პირველი ტურის შედეგად კანდიდატების მიერ მიღებულ ხმებს შორის მცირე სხვაობა იყო. ორ მოწინავე კანდიდატს შორის სხვაობამ მხოლოდ ერთი პროცენტი შეადგინა და 50-პროცენტის ბარიერის გადალახვა ვერცერთმა მათგანმა შეძლო. შედეგად 28 ნოემბერს არჩევნების მეორე ტური გაიმართა. საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლები მრავალი საათის მანძილზე გულმოდგინედ მუშაობდნენ, რათა საკუთარი უფლებამოსილება განეხორციელებინათ. ამომრჩევლები კი მომზადებულები და ინფორმირებულები გამოცხადდნენ საარჩევნო უბნებზე საკუთარი ნების გამოსახატად. ამომრჩეველთა აქტივობამ 56.25 პროცენტი შეადგინა, რაც 2012 წლის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. დაფიქსირდა ერთი პირის მიერ ხმის რამდენჯერმე მიცემის სერიოზული ინციდენტები, ასევე მანიპულირება დათვლის პროცესის დროს - რასაც უშუალოდ NDI-ის დამკვირვებლებიც შეესწრნენ. წინასწარი შედეგებით ქართული ოცნების მიერ მხარდაჭერილმა კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა ხმების 59.54 პროცენტი მიიღო, ხოლო 11 ოპოზიციური პარტიის კოალიციის - “ძალა ერთობაშია”- კანდიდატმა ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან - გრიგოლ ვაშაძემ – ხმების 40.46 პროცენტი. ამ შედეგებს ადასტურებს სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (სამართლიანი არჩევნები) მიერ ჩატარებული ხმების პარალელური დათვლის შედეგებიც, რომლის თანახმად ზურაბიშვილმა ხმების 59.1 პროცენტი, ხოლო ვაშაძემ - 40.9 პროცენტი მიიღო.

არჩევნები, რომელიც ზაფხულის დასაწყისში ფასდებოდა, როგორც მშვიდი და არაფრით გამორჩეული, დამაბული და პოლარიზებული გამოდგა. მეორე ტურამდე პერიოდი ძალადობის შემთხვევებით, დამინების შესახებ ინფორმაციით და სხვა ისეთი ქმედებებით ხასიათდებოდა, რომელიც საარჩევნო კანონმდებლობის სულისკვეთებას და - შეიძლება ითქვას - ნორმებს არღვევდა. ორ ტურს შორის კამპანიის რიტორიკა კიდევ უფრო აგრესიული და მტრული გახდა, შიშის შემცველი მესიჯებითა და არასტაბილურობის შესახებ მუქარებით. არჩევნებს პრეზიდენტის იდეების, ღირებულებებისა და ხედვის შესახებ კონსტრუქციული დებატები აკლდა.

ბევრი თვალსაზრისით ამ არჩევნებმა პრეზიდენტის არჩევაზე უფრო მეტი მნიშვნელობა შეიძინა. ეს იყო რეფერენდუმი პოლიტიკურ ლიდერობაზე, ბრძოლა ძალაუფლებისთვის და ცრუ არჩევანი სამყაროს დასასრულის აღმწერ სცენარებს შორის. საარჩევნო დისკურსმა - მედიის ხელშეწყობით - ამომრჩევლების უკიდურესი გახლეჩვა გამოიწვია და მათ არჩევანის გაკეთება “საკაშვილის სისხლიან ცხრა წელსა” (რომელიც საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს უკავშირდება) და

“მილიარდერი ოლიგარქის კორუმპირებულ, უუნარო მმართველობას” (რომელიც ყოფილ პრემიერ მინისტრსა და პარტიის თავმჯდომარეს, ბიძინა ივანიშვილს, უკავშირდება) შორის შესთავაზა. ამან საქართველოს ბევრ მოქალაქეს, რომელსაც ამ ორი უკიდურესობიდან არცერთი მოსწონს, წართმეული პოლიტიკური არჩევანის განცდა დაუტოვა. ორივე კამპანიის ლიდერები აღიარებდნენ, რომ ეს არჩევნები ქართული დემოკრატიისთვის ნეგატიური, პოლარიზებული და ზიანის მომტანი იყო, მაგრამ ისინი ამაში ერთმანეთს ადანაშაულებდნენ.

დემოკრატიული მმართველობა საქართველოს ყველაზე ძვირფასი მონაპოვარია. ამან ქვეყანა ავტორიტარული მეზობლებისგან გამოარჩია და მას ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის შესაძლებლობა მისცა. ამ მონაპოვრის დაკარგვას განუზომლად დიდი ფასი ექნება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნის მომავალი პოლიტიკური ცხოვრებაც ამ კამპანიის მსგავსად არ წარიმართოს. დელეგაცია იმედს გამოთქვამს, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ საქართველოს მოქალაქეები ამ არჩევნების პოლარიზებულ და ზიანის მომტან პრაქტიკებს უარყოფენ და უფრო კონსტრუქციული პოლიტიკური გარემოს შექმნაზე იმუშავებენ, სადაც კონკურენტებს თანაბარ პირობებში პაექრობისა და მოქალაქეთა ინტერესების ამსახველი განსხვავებული პოლიტიკური ხედვების წარმოდგენის საშუალება ექნებათ.

## კონტექსტი

საქართველოს პრეზიდენტის ბოლო პირდაპირი არჩევნების პირველი ტური როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ნიშნებით ხასიათდებოდა. ამომრჩევლებს პოლიტიკური არჩევანის გაკეთების საშუალება ჰქონდათ და საარჩევნო კამპანია ცოცხლად და დინამიურად წარიმართა, თუმცა იგი მწვავე კრიტიკითა და პირადი თავდასხმებით იყო გაჯერებული. მედია გარემო მრავალფეროვანი იყო, თუმცა პარტიული ნიშნით დაყოფილი, და მოქალაქეებს მრავალფეროვანი შეხედულებების მოსმენა შეეძლოთ. არჩევნების დღემ ძირითადად მშვიდ გარემოში და წესების დაცვით ჩაიარა, თუმცა ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა აღნიშნეს, რომ წინასაარჩევნო გარემო საჯარო მოხელეების დაშინების შემთხვევებითა და ზურაბიშვილის მხარდასაჭერად ამომრჩევლის მობილიზაციის მცდელობით ხასიათდებოდა. არჩევნების პირველი ტური ყველაზე მეტად სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის და პარტიის ხელმძღვანელი პირების მხრიდან ქვეყნის საყოველთაოდ აღიარებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და მათი ლიდერების წინააღმდეგ აგრესიული, პერსონალური და უპრეცედენტო თავდასხმებით გამოირჩეოდა. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიმართ კრიტიკა მეორე ტურის განმავლობაშიც გაგრძელდა, თუმცა რიტორიკა ნაკლებად მწვავე იყო.

ცესკოს მიერ გამოქვეყნებული შედეგებით, დამოუკიდებელმა კანდიდატმა ზურაბიშვილმა ამომრჩეველთა ხმების 38.64 პროცენტი, ხოლო ვაშაძემ ხმების 37.74

პროცენტი მიიღო. იმის გათვალისწინებით, რომ 50-პროცენტიანი ბარიერი ვერცერთმა კანდიდატმა გადალახა, 28 ნოემბერს საქართველოში ვაშაძესა და ზურაბიშვილს შორის არჩევნების მეორე ტური ჩატარდა.

## მეორე ტურის კამპანია

პირველი ტურის დასრულების შემდეგ ქართული ოცნების ლიდერებმა კანდიდატებს მიერ მიღებულ ხმებს შორის მცირე სხვაობის გამო გაკვირვება გამოხატეს და NDI-ის ანალიტიკოსებს განაცხადეს, რომ მათი მეორე ტურის სტრატეგია ორ ძირითად კომპონენტზე იქნებოდა აგებული. პირველი იყო გადაწყვეტილება, რომ პარტია, ივანიშვილის ხელმძღვანელობით, ზურაბიშვილის კამპანიას სათავეში უფრო სრულად ჩაუდგებოდა და ღონისძიებების ჩატარებაზე, მესიჯებსა და სტრატეგიაზე პასუხისმგებლობას აიღებდა. მართლაც, ქართული ოცნების ლიდერები ზურაბიშვილის კამპანიის სახეები გახდნენ და მთელი ქვეყნის მასშტაბით ბევრ ბანერზე ზურაბიშვილის ფოტო ივანიშვილისა და პარტიის სხვა ლიდერების ფოტოებით შეიცვალა. გადიოდა სატელევიზიო რეკლამები, სადაც ქართული ოცნების წამყვანი ლიდერები ხელისუფლების მიღწევებზე საუბრობდნენ. ზურაბიშვილი ნაკლებად ხილვადი გახდა. ზოგიერთი დამკვირვებლის აზრით, ამ ინიციატივით პარტიამ მის მხარდაჭერილ კანდიდატს საყვედური გამოუცხადა. კამპანიის სადავეების სრულად ხელში აღება და საპრეზიდენტო რბოლაში ბევრი ინვესტიციის ჩადება ზაფხულის დასაწყისში პარტიის პოზიციისგან მნიშვნელოვან გადახვევას წარმოადგენდა, რადგან მაშინ პარტია ამბობდა, რომ არჩევნები მნიშვნელოვანი არ იყო და ქართული ოცნება მასში არ ჩაერთვებოდა, რათა პოლიტიკური პლურალიზმისთვის ხელი შეეწყო.

მეორე სტრატეგია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დაბრუნების შიშზე დაფუძნებული მესიჯების შემუშავება იყო. ქართული ოცნების ლიდერებმა განმარტეს, რომ ამ ტაქტიკამ გაამართლა, რადგან კვლევების მიხედვით ზურაბიშვილის მხარდამჭერთა რიცხვი თითქმის მაშინვე გაიზარდა. მთელი ქვეყნის მასშტაბით, სატელევიზიო არხებზე, სოციალურ მედიასა და რეკლამებში საქართველოს მოქალაქეებს ქართული ოცნების წამყვანი ლიდერების გაფრთხილება ესმოდათ, რომ ვაშაძის სასარგებლოდ მიცემული ხმა ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის შეწყალებასა და ქვეყანაში დაბრუნებას და - შესაბამისად - წარსულის სავარაუდო წამებისა და ძალადობის ფაქტებს გამოიწვევდა. ქართული ოცნების ლიდერებმა საზოგადოებას სამოქალაქო ომისა და არეულობის საფრთხის შესახებ აუწყეს.<sup>1</sup> ივანიშვილმა სატელევიზიო მიმართვები გაავრცელა, რომელიც ხალხს ძალადობისა და დესტაბილიზაციის საფრთხეზე მიუთითებდა, თუ ისინი ზურაბიშვილს არ მისცემდნენ ხმას.<sup>2</sup> ქვეყნის მასშტაბით გავრცელდა კამპანიები და

<sup>1</sup> ქართული ოცნების წარმომადგენლები “სამოქალაქო ომის” შესაძლებლობაზე საუბრობენ, სივილ.ჯი, 31 ოქტომბერი, 2018, <https://civil.ge/ka/archives/262784>

<sup>2</sup> ივანიშვილი მოსახლეობას მიმართავს, სივილ.ჯი, 5 ნოემბერი, 2018, <https://civil.ge/ka/archives/263766>

აქციები სლოგანით “არა მიშას” და “მე ვიცავ თავისუფლებას”, რომელიც უცნობი ჯგუფების მიერ იყო ორგანიზებული და ზურაბიშვილის კამპანიის ნარატივს უჭერდა მხარს.

ვაშაძის კამპანია ასევე ნეგატიური რიტორიკით ხასიათდებოდა. პირველი ტურის მსგავსად, კამპანია სატელევიზიო რეკლამებში ზურაბიშვილს კვლავაც მოღალატედ მოიხსენიებდა და მას რუსულ ინტერესებთან აკავშირებდა და ქვეყნის უშიშროებისთვის საფრთხედ წარმოაჩენდა. კამპანია აქცენტს კომპეტენტური ხელისუფლების საჭიროებაზე აკეთებდა, რომელიც ქვეყანას ეკონომიკურ კატასტროფას აარიდებდა, ხოლო პრეზიდენტობა “უუნარო” ქართული ოცნების მმართველობის ჩამოშლის გზაზე პირველი ნაბიჯი იქნებოდა. კამპანია ასევე მოიცავდა დაპირებებს პენსიის, მასწავლებლებისა და პოლიციელების ხელფასების გაზრდისა და იპოთეკურ სესხებზე პროცენტის დაწვევის შესახებ. ეს დაპირებები გააკრიტიკეს, როგორც პოპულისტური და პრეზიდენტის მანდატთან შეუსაბამო. სააკაშვილს მთელი კამპანიის განმავლობაში მაღალი ხილვადობა ჰქონდა. იგი მედიაში ყოველდღიურად ჩნდებოდა და განცხადებებს აკეთებდა. მათ შორის იყო განცხადებები, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების წამყვანმა ორგანიზაციებმა გააკრიტიკეს, როგორც ქსენოფობიური<sup>3</sup> და ანტისემიტური.<sup>4</sup> აღსანიშნავია, რომ სააკაშვილს, როგორც საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირს, კამპანიაში მონაწილეობა ეკრძალება.

საპარლამენტო პარტიებს შორის ევროპულმა საქართველომ, რომლის მიერ წამოყენებულმა კანდიდატმა დავით ბაქრაძემ პირველ ტურში მესამე ადგილი დაიკავა, ვაშაძეს, ხოლო პატრიოტთა ალიანსმა – ზურაბიშვილს დაუჭირა მხარი. ევროპული საქართველოს გადაწყვეტილებას პარტიის შიგნით გარკვეული წინააღმდეგობა მოჰყვა და საკრებულოების რამდენიმე წევრმა პარტია დატოვა. პირველ ტურთან შედარებით ზოგიერთმა მაუწყებელმა პარტიული პოზიციები უფრო ღიად გამოხატა. 30 ოქტომბერს ტელეკომპანია იმედმა გამოაცხადა, რომ ჩვეულ საეთერო ბადეს შეცვლიდა, რათა ვაშაძის კანდიდატურის თავდასხმაზე ყოფილიყო ორიენტირებული და განაცხადა, რომ “იმუშავებდა იმისთვის, რომ არ

<sup>3</sup> პლატფორმა “არა-ფობიას!” ექსპრეზიდენტის განცხადებებს კიდევ ერთხელ ეხმაურება, 20 ნოემბერი, 2018 <https://www.transparency.ge/ge/post/platporma-ara-pobias-eksprezidentis-gancxadebebs-kidev-ertxel-exmaureba>

<sup>4</sup> 4 ნოემბრის ამ ვიდეო მიმართვაში, სააკაშვილმა ნეგატიური კონოტაციის მქონე სიტყვა გამოიყენა არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში მცხოვრები და მომუშავე ბანგლადეშელი და ინდოელი ვიზიტორების დასახასიათებლად და მათი საქართველოში შემოსვლა შეაფასა, როგორც არასასურველი, რადგან ამას ქვეყნის ტურისტული ინდუსტრიისთვის ბევრი შემოსავალი არ მოაქვს, <https://civil.ge/ka/archives/263986>

8 ნოემბერს, ქართული ოცნების კამპანიის ტაქტიკების კომენტარებისას, სააკაშვილმა თქვა: "ეგერ ვიღაც ებრაელ აფერისტს მოშეს მისცეს მილიონ ორასი ათასზე მეტი, რომ ეს ბილბორდები დაამზადოს დაჯღანული სახეებით, რომლებიც თბილისში გამოფინეს." <https://civil.ge/ka/archives/266820>

დაბრუნდეს რეჟიმი.”<sup>5</sup> იმედმა საკუთარი რეგულარული თოქ-შოუ, იმედი ლაივ, იმისთვის გამოიყენა, რომ ხალხი ვაშადის გამარჯვების საფრთხის შესახებ გაეფრთხილებინა და ზურაბიშვილის კანდიდატურის მხარდაჭერა გამოეხატა. თავის მხრივ, რუსთავი 2-მა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერი მაუწყებლობა გააგრძელა: დაიწყო სპეკულაცია კანდიდატის პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით და ეთერში წინააღმდეგობრივი კადრები გაუშვა, სადაც ქართული ოცნების ლიდერები ზურაბიშვილის ტანსაცმელში გამოაწყვეს (როგორ ერთგვარი დაცინვა ბილბორდებზე ზურაბიშვილის ფოტოს ქართული ოცნების ლიდერების ფოტოებით ჩანაცვლების გამო). ქვეყნის მთავარი სატელევიზიო მაუწყებლების არსებითად კამპანიის ინსტრუმენტად გადაქცევამ კანდიდატების შესახებ სანდო ინფორმაციაზე მოქალაქეთა ხელმისაწვდომობა შეზღუდა. მეორე ტურის წინ დებატები არ ჩატარებულა.

### ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება

არჩევნების პირველი ტურის დასრულებისთანავე ხელისუფლების წარმომადგენლები და ქართული ოცნების ლიდერები ყოველდღიურად აჟღერებდნენ განცხადებებსა და დაპირებებს მთავრობის პროექტებისა და სოციალური მხარდაჭერის შესახებ, როგორცაა: დამატებითი ფინანსური დახმარება სოციალურად დაუცველთათვის, გაზრდილი ხელფასები სამხედრო პირებისა და მასწავლებლებისთვის, საცხოვრებლით უზრუნველყოფა, ვეტერანების დახმარება და ინფრასტრუქტურული და სხვა ტიპის პროექტები.<sup>6</sup> საარჩევნო კოდექსის თანახმად, სახელმწიფო პროექტებისა და პროგრამების განხორციელება ან სოციალური დახმარების გაზრდა 60-დღიანი საარჩევნო პერიოდის განმავლობაში იკრძალება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტში 60-დღიან პერიოდამდე იყო გათვალისწინებული.<sup>7</sup> ხელისუფლების ლიდერები ამტკიცებენ, რომ ყველა პროგრამა წინასწარ იყო დაგეგმილი. სამართლიანი არჩევნების თქმით, ზემოხსენებული პროექტების შესახებ განცხადებები შესაძლოა, საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევად კვალიფიცირდეს, რადგან მათ შესახებ ინფორმაცია კამპანიის წარმართვამდე ცნობილი არ იყო.<sup>8</sup> საერთაშორისო გამჭვირვალობა-

<sup>5</sup> იმედის განცხადება: “წინასაარჩევნო პერიოდი განსაკუთრებულად მძიმე იქნება მეორე ტურის წინ, რადგან არჩევანის ერთ მხარეს „ნაციონალური მოძრაობა“ აღმოჩნდა. ტელეკომპანია „იმედმა“ და მისმა მფლობელებმა საკუთარ თავზე იწვნიეს რას ნიშნავს ხელისუფლებაში „ნაციონალური მოძრაობა“. ამიტომ „იმედი“ წინასაარჩევნოდ ცვლის საეთერო ბადეს და ჩვენ ვიმუშავებთ იმისთვის, რომ არ დაბრუნდეს რეჟიმი.“ 30 ოქტომბერი, 2018

<https://imedinews.ge/ge/saqartvelo/83392/medi-mushaobis-sagangebo-rejimze-gadadis>

<sup>6</sup> 1990 წლის ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის პუნქტი 5.4 „ხელისუფლებისა და პოლიტიკური პარტიების მკაფიო გამოიჯვანა“ მოითხოვს. დოკუმენტის მიხედვით: „კონკრეტულად, პოლიტიკური პარტია არ უნდა შეერწყას ხელისუფლებას.“

<sup>7</sup> მუხლი 49, პუნქტი 3 და 4, საქართველოს საარჩევნო კოდექსი

<sup>8</sup> „ხელისუფლების მიერ მეორე ტურის წინ დაანონსებული პროგრამები ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას წარმოადგენს“, სამართლიანი არჩევნები, 9 ნოემბერი, 2018

საქართველოს (საერთაშორისო გამჭვირვალობა) განცხადება ხელისუფლებას დიდი მასშტაბების სოციალური პროექტების დაანონსებისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდებს და აფრთხილებს, რომ „ეს ტენდენცია ... ცხადად ატარებს საარჩევნოდ მოტივირებული საბიუჯეტო ხარჯვის ხასიათს, რაც საარჩევნოდ ფინანსური ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას შეიძლება უტოლდებოდეს.“<sup>9</sup>

28 ნოემბრის არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, პრემიერ მინისტრმა განაცხადა, რომ დაახლოებით 600,000 ადამიანს სესხი გაუნუღდება და ამ ხარჯს ივანიშვილის მიერ დაარსებული „ქართუ ფონდი“ დაფარავს. აღნიშნული შეთავაზების რიგი ასპექტები არ არის სათანადოდ ნათელი და გამჭვირვალე. ასევე თითქმის არაფერია ცნობილი ფონდის ფინანსებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის შესახებ. თუმცა განცხადების დროის, ფონდისა და ქართული ოცნების თავმჯდომარის პირდაპირი კავშირის (რომელიც ასევე ზურაბიშვილის სახეა) და პრემიერ მინისტრის ჩართულობის გათვალისწინებით, სამართლიანმა არჩევნებმა, საერთაშორისო გამჭვირვალობამ და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) და სხვა დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ ზემოხსენებული განცხადების საარჩევნო მიზნები ნათელია და სახეზეა ამომრჩევლის მოსყიდვის უპრეცედენტო შემთხვევა, რაც სისხლის სამართლის კოდექსის 164-ე მუხლს არღვევს.<sup>10</sup> პროკურატურამ გამოძიება დაიწყო.

ქართული ოცნების ლიდერებმა მისიას განუცხადეს, რომ ხელისუფლებამ სესხების განუღების განხილვა გაზაფხულზე დაიწყო. თუმცა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა აღნიშნეს, რომ საარჩევნო კამპანიამდე არც კონკრეტული გეგმა გაჟღერებულა და არც დაფინანსების მექანიზმი განხილულა. ქართული ოცნების ხელმძღვანელმა წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ პარტიამ გეგმის დეტალების გაცხადება საარჩევნო კამპანიის პერიოდში მხოლოდ იმიტომ გადაწყვიტა, რომ ვაშაძის ბრალდებისთვის პასუხი გაეცა, რომელმაც სესხების ჩამოწერა შეუსრულებელ დაპირებად მოიხსენია. საპირისპიროდ, ივანიშვილმა საჯაროდ განაცხადა, რომ ამ ინიციატივას არჩევნებთან “კავშირი არ აქვს“. მიუხედავად იმისა დადგინდება თუ არა ქმედების დანაშაულებრივი ხასიათი, ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლების უმეტესობა, ვისაც NDI-ის დელეგაცია შეხვდა,

---

<http://www.isfed.ge/main/1441/geo/>

<sup>9</sup> საერთაშორისო გამჭვირვალობის განცხადება: „არჩევნების მეორე ტურის წინ ხელისუფლებამ მასშტაბური სოციალური პროექტების წარდგენისგან თავი უნდა შეიკავოს“, 8 ნოემბერი, 2018

<https://www.transparency.ge/ge/post/archevnebis-meore-turis-cin-xelisuplebam-masshtaburi-socialuri-proektebis-cardgenisgan-tavi>

<sup>10</sup> „საარჩევნო მიზნით, პირდაპირ ან არაპირდაპირ ფულის, ფასიანი ქაღალდის (მათ შორის, ფინანსური ინსტრუმენტის), სხვა ქონების, ქონებრივი უფლების, მომსახურების ან სხვა რაიმე უპირატესობის შეთავაზება, დაპირება, გადაცემა ან გაწევა, ან წინასწარი შეცნობით ასეთის მიღება, ანდა კანონით დადგენილი შეზღუდვებისათვის თავის არიდების მიზნით მოჩვენებითი, თვალთმაქცური ან სხვა გარიგების დადება“ - ითვლება დანაშაულად და ისჯება სამ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით ან ჯარიმით

თანხმდება, რომ სახეზეა ამომრჩევლებზე ზეგავლენის მოხდენის განზრახვა და აღნიშნული განცხადება საარჩევნო კამპანიის, სახელმწიფოსა და კერძო რესურსების გამიჯვნასთან დაკავშირებით კითხვებს აჩენს.

საერთაშორისო გამჭვირვალობამ, სამართლიანმა არჩევნებმა და საიამ განაცხადეს, რომ მათ მამხილებელმა მიმართა, რომლის თქმითაც სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო კონკრეტულ უბნებზე ხმის მიცემისთვის ყალბ პირადობის მოწმობებს ამზადებდა. ხელისუფლებამ არასამთავრობო ორგანიზაციები წყაროსა და გამოძიების წარმართვისთვის აუცილებელი სამხილის გაუმჟღავნებლობისთვის გააკრიტიკა. ამასთან ერთად, პირველი ტურიდან მეორე ტურამდე ამომრჩეველთა სიას ჯამში 9,781 ამომრჩეველი დაემატა, მათ შორის დაახლოებით 3,000 მოქალაქე, რომელთაც 18 წელი შეუსრულდა. არასამთავრობო ორგანიზაციების თქმით აღნიშნული ზრდა საშუალოზე მეტია. ცესკოს თავმჯდომარემაც აღნიშნა, რომ ამომრჩეველთა რიცხვის ზრდა საშუალოზე 3,500-ით მეტია, რამაც არჩევნების კეთილსინდისიერად ჩატარებისადმი ეჭვი კიდევ უფრო გაზარდა.

### კამპანიის დაფინანსება

კამპანიის დაფინანსება საგრძნობლად არათანაბარი იყო. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის (აუდიტის სამსახური) თანახმად, ზურაბიშვილმა ჯამური შემოწირულობების 75 პროცენტი მიიღო. ასევე, კამპანიამ სარგებელი მიიღო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ მიმართული “არა მიშას”, “მე ვიცავ თავისუფლებას” და სხვა ინიციატივებისგან. ისინი ბანერების, აქციების, სოციალურ მედიაში პოსტებისა და 30-ზე მეტი ოფისის აქტივისტების მეშვეობით მოქალაქეებს ვაშადის დამარცხებისკენ მოუწოდებდნენ. ეს მოძრაობები სამართლებრივად დარეგისტრირებული არ არის და აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელების განცხადებით, მათ შემომწირველების უმრავლესობის ვინაობა არ იციან. აუდიტის სამსახურის თანახმად, აღნიშნული ღონისძიებები ზურაბიშვილის კამპანიისთვის შემოწირულობას წარმოადგენს და მიმღების მიერ უნდა დადეკლარირდეს, თუ ზურაბიშვილის კამპანიისთვის ცნობილი იყო მოძრაობის შესახებ და მათთან თანამშრომლობდა. აუდიტის სამსახურმა აღნიშნა, რომ მსგავსი თანამშრომლობის დამტკიცება რთულია. ზურაბიშვილის კამპანიამ 300,000 ლარის ღირებულების ბანერები, როგორც არაფულადი შემოწირულობა, დაადეკლარირა. თუმცა სხვა შემოწირულობების, მათ შორის ოფისების, აქტივისტებისა და აქციების შესახებ დეკლარაცია ჯერ არ წარუდგენია. ქართული ოცნების მხარდაჭერასთან ერთად, ზურაბიშვილმა ასევე სარგებელი პატრიოტთა ალიანსის მიერ ორგანიზებული აქციიდან მიიღო. ეს კი კანონით იკრძალება.<sup>11</sup> აუდიტის სამსახურმა განაცხადა, რომ

<sup>11</sup> მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ ორგანული კანონის მუხლი 26, პუნქტი 1 (ბ), პარტიებს სხვა პარტიების სასარგებლოდ შემოწირულობების გაკეთებას უკრძალავს.



ზურაბიშვილისთვის უკანონო შემოწირულობის განხორციელებისთვის პატრიოტთა ალიანსი 30,000 ლარით უკვე დაჯარიმდა.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა წუხილი გამოთქვეს, რომ აუდიტის სამსახურის მიერ საჩივრებზე პასუხის დაყოვნების გამო უწყების შემაკავებელი ეფექტი იზღუდება. აუდიტის სამსახურის წარმომადგენლებმა აღიარეს, რომ გამოძიებას დრო დასჭირდა და განმარტეს, რომ აღნიშნულ პროცესში წინააღმდეგობებს აწყდებოდნენ. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ მათ 576 პრობლემური ინდივიდუალური შემოწირულობის გამოძიება დაიწყეს, შემომწირველებს გამოკითხვაზე მოსვლას კანონი არ ავალდებულებს, რას აუდიტის სამსახურს სასამართლოსთვის საქმეების გადაცემაში ხელს უშლის. აუდიტის სამსახურის წარმომადგენლებმა დელეგაციას განუცხადეს, რომ თავისი საქმიანობის გაძლიერებისთვის საკანონმდებლო ცვლილებების შეთავაზებას აპირებენ.

### **ძალადობა და დაშინება**

კოალიციის “ძალა ერთობაშია” წარმომადგენლების წინააღმდეგ ძალადობა პირველი ტურის დასრულებისთანავე დაიწყო. საიამ ცხრა ინციდენტი დააფიქსირა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ ძალადობრივ დანაშაულზე ბრალი 22 ადამიანს წაეყენა. ყველაზე მწვავე ინციდენტი 30 ოქტომბერს ახალქალაქში დაფიქსირდა, სადაც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოთხი აქტივისტი სცემეს. დაზარალებულებმა მძიმე დაზიანებების გამო რამდენიმე დღე საავადმყოფოში გაატარეს. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება ხულიგნობის ბრალდებით დაიწყო, თუმცა, მოგვიანებით, ქართული ოცნების ხუთ აქტივისტს ძალადობის ბრალდება წაუყენეს. ასევე, 7 ნოემბერს ახალქალაქში ნილბიანი პირები ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აქტივისტს დაესხნენ თავს. აღნიშნული შემთხვევა სავარაუდოდ დაშინების ჭრილში მას შემდეგ განიხილეს, რაც დაზარალებულმა თავდაპირველად თავდასხმისა და თავდამსხმელების აღწერის შემდეგ, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დაკითხვისას განაცხადა, რომ წაიქცა. ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ ახალქალაქში მომხდარ ძალადობის ფაქტზე პასუხისმგებლობა ქართული ოცნების მაჟორიტარ დეპუტატს ენზელ მკოიანს დააკისრა. ქართული ოცნება აღნიშნულ ბრალდებას უარყოფს. ინციდენტების საპასუხოდ, პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა “პროვოკაციებში” დაადანაშაულა.

29 ოქტომბერს კასპში კიდევ ერთი თავდასხმა მოხდა, რომლის დროსაც, განცხადებების თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიაში ოპოზიციის წარმომადგენელი სავარაუდოდ ქართული ოცნების ორმა მხარდამჭერმა სცემა. 22 ნოემბერს ვაშაძის კამპანიის ხელმძღვანელი ონის ოლქში საკუთარ სახლთან დაჭრეს, რის შემდეგაც იგი მძიმე დაზიანებებით ჰოსპიტალიზირებულ იქნა. ოპოზიციის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ თავდამსხმელი ქართული ოცნების აქტივისტი

იყო და ძალადობა არჩევნებს უკავშირდებოდა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო და განაცხადა, რომ შემთხვევის პოლიტიკურად მოტივირებულ დანაშაულად შერაცხვისთვის მტკიცებულება არ არსებობს და დავა ნასვამ ადამიანებს შორის მოხდა. მოტივის მიუხედავად, მსგავსი შემთხვევები უკვე ისედაც დამაბულ კამპანიის გარემოს კიდევ უფრო ამძაფრებს. ოპოზიციის ლიდერებმა განაცხადეს, რომ აღნიშნული შემთხვევები მათ მხარდამჭერებში შიშს იწვევს. ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლები ვერ თანხმდებიან, გაიზარდა საარჩევნო ძალადობა თუ შემცირდა, თუმცა არჩევნების დროს ძალადობის ნებისმიერი შემთხვევა მიუღებელია და - სათანადო რეაგირების გარეშე - მომავალ დამნაშავეებს დაუსჯელობის სიგნალს უგზავნის.

ზურაბიშვილმა მისი და მისი ოჯახის მიმართ ძალადობის მუქარის შემცველი ხმოვანი და მოკლე ტექსტური შეტყობინებების მიღების შესახებ საჯაროდ განაცხადა და აღნიშნულში ბრალი ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან დაკავშირებულ ყოფილ სამხედრო მოსამსახურეებს დასდო. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო.

არჩევნების მეორე ტურის წინა პერიოდში საჯარო მოხელეების დაშინების ფაქტების შესახებ ინფორმაცია ხშირი იყო, მათ შორის NDI-ის თანამშრომლების ოჯახის წევრების მიერ გამხელილი შემთხვევებიც. სამართლიანმა არჩევნებმა დაშინების 40-ზე მეტი შემთხვევა დააფიქსირა, რაც პირველი ტურის კამპანიასთან შედარებით გაზრდილი მაჩვენებელია. სამართლიანმა არჩევნებმა, საიამ, საერთაშორისო გამჭვირვალობამ და საერთო სამოქალაქო მოძრაობამ - მრავალეროვანი საქართველო (PMMG) დაშინების ახალი ფორმები აღწერეს, მათ შორის კერძო კომპანიების ხელმძღვანელების მხრიდან ზურაბიშვილისთვის ხმის მისაცემად თანამშრომლებზე ზეწოლა. ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები დაშინების არსებობას უარყოფენ და აღნიშნულ ჯგუფებს წყაროების გასაჯაროებისა და გამოძიებისთვის საჭირო მეტი სამხილის წარმოდგენისკენ მოუწოდებენ. არასამთავრობო ორგანიზაციებმა განმარტეს, რომ მამხილებლებს საკუთარი ვინაობის გამხელის ემინიათ, შესაძლო შურისძიებაზე წუხან და ხელისუფლების სამართალდამცავი, საგამოძიებო და სასამართლო პროცესებისა მიუკერძოებლობაში ეჭვი ეპარებათ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ მათ შემთხვევების გამოძიებისთვის “ყველა შესაძლო ბერკეტი” გამოიყენეს, მაგრამ ბრალდების წაყენებას სათანადო ინფორმაციისა და სამხილების არ არსებობის გამო ვერ ახერხებენ. დელეგაციისთვის რთულია, დაადგინოს, რამდენად ფართოდ არის დაშინება გავრცელებული, თუმცა ბევრი წყაროსგან მიღებული ბრალდებების მასშტაბისა და თანმიმდევრულობის გათვალისწინებით და უშუალოდ NDI-ისთვის გამხელილი შემთხვევების სანდობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ მომავალი არჩევნებისთვის ეს პრობლემა აღმოიფხვრას.

## საარჩევნო ადმინისტრაცია

14 ნოემბერს ცესკომ საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შედეგები შეაჯამა და მეორე ტურის თარიღად 28 ნოემბერი, ოთხშაბათი გამოაცხადა. რიგი მიზეზების გამო აღნიშნული თარიღი მწვავე პოლიტიკური კამათის საფუძველი გახდა. პირველ რიგში, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური აქამდე არასდროს ჩატარებულა, რამაც ბუნდოვანი საკანონმდებლო სივრცე - თარიღთან დაკავშირებით კანონში რამდენიმე ურთიერთსაწინააღმდეგო ჩანაწერით - გამოავლინა. რამდენიმე პარტიამ და სადამკვირვებლო ჯგუფმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ცესკოს ინტერპრეტაცია, რომ 28 ნოემბერი ერთადერთი კანონიერი თარიღი იყო და აღნიშნა, რომ შესაძლებელი იყო, არჩევნების მეორე ტური შაბათ-კვირას გამართულიყო. მეორე მხრივ, მართალია, არჩევნების დღე დასვენების დღედ გამოცხადდა, მაგრამ ოპოზიციურმა პარტიებმა, საერთაშორისო გამჭვირვალობამ, სამართლიანმა არჩევნებმა და საიამ<sup>12</sup> აღნიშნეს, რომ საზღვარგარეთ მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს არჩევნებში ხმის მიცემა გაუჭირდებოდათ. ამასთან, ერთდღიანი დასვენება შესაძლოა, ზოგიერთი საქართველოში მცხოვრები მოქალაქისთვისაც არ ყოფილიყო საკმარისი იმისთვის, რომ ხმის მისაცემად მათი რეგისტრაციის მისამართზე ჩასულიყვნენ. სადამკვირვებლო ჯგუფებმა აღნიშნეს, რომ მათმა ზოგიერთმა დამკვირვებელმა მეორე ტურის დაკვირვებაზე უარი თქვა, რადგან ისინი არ ისვენებდნენ - ბევრმა კერძო კომპანიამ ეს დღე უქმედ არ გამოაცხადა. მესამე, ქართული ოცნების ლიდერებმა 28 ნოემბერი არჩევნების დღედ ცესკოს მიერ თარიღის ოფიციალურად დანიშვნამდე გამოაცხადეს<sup>13</sup>, რამაც - არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ოპოზიციური პარტიების თანახმად - იმის შთაბეჭდილება შექმნა, რომ ცესკოს გადაწყვეტილება პოლიტიკური გავლენის შედეგი იყო. სასამართლოებმა მეორე ტურის თარიღთან დაკავშირებული საჩივრები არ დააკმაყოფილეს.

საარჩევნო ადმინისტრაციამ არჩევნების მეორე ტურის მზადების პროცესი საარჩევნო კოდექსის შესაბამისად დროულად და ეფექტიანად წარმართა. მათ შორის, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის ხელახალი ტრენინგები ჩატარდა, ხოლო ცესკოს გადაწყვეტილებები და სიახლეები ვებსაიტზე რეგულარულად ქვეყნდებოდა.

მისასალმებელია, რომ მეორე ტურამდე რამდენიმე დღით ადრე პრემიერ მინისტრის აპარატმა სადამკვირვებლო ჯგუფებისთვის ფორუმი ჩამოაყალიბა, სადაც მათ საარჩევნო პრობლემების მოგვარებასთან დაკავშირებული საკითხების მთავრობის უმაღლესი დონეზე წამოჭრა შეუძლიათ. პრემიერ მინისტრმა აღნიშნა, რომ ის აპირებს, ეს პლატფორმა არჩევნების შემდგომ შესაძლო რეფორმების განხილვისთვის

<sup>12</sup> “საპრეზიდენტო არჩევნების II ტურის თარიღად არასამუშაო დღე უნდა განისაზღვროს”, სამართლიანი არჩევნები, საერთაშორისო გამჭვირვალობა და საიას ერთობლივი განცხადება. 27 ნოემბერი, 2018 <http://www.isfed.ge/main/1444/geo/>

<sup>13</sup> “საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური 28 ნოემბერს გაიმართება”, სივილ.ჯი, 14 ნოემბერი, 2018 <https://civil.ge/ka/archives/265720>

და მომავალში საარჩევნო პროცესების მიმართ ნდობის გაძლიერებისთვის გამოიყენოს. ალტერნატიული ფორუმის საჭიროება დღის წესრიგში მას შემდეგ დადგა, რაც თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია წამყვანმა ადგილობრივმა სადამკვირვებლო ჯგუფებმა დატოვეს და კონსტრუქციული დიალოგისთვისა და საკითხების გადაწყვეტისთვის საჭირო გარემოს არარსებობაზე ისაუბრეს.

## არჩევნების დღე

NDI-ის დამკვირვებლები არჩევნების ქვეყნის მასშტაბით ბევრ ადგილას რამდენიმე საარჩევნო უბანზე გახსნის, ხმის მიცემის, დახურვისა და ხმის დათვლის პროცედურებს დააკვირდნენ. არჩევნების დღემ ზოგადად მშვიდ და მშვიდობიან გარემოში ჩაიარა, თუმცა სულ მცირე შვიდ ძალადობის შემთხვევას შინაგან საქმეთა სამინისტრო იძიებს. წინასწარი შედეგებით ამომრჩეველთა აქტივობამ 56.23 პროცენტი შეადგინა, რაც პირველი ტურის მონაცემებს მნიშვნელოვნად აღემატება. მთლიანობაში, ამომრჩევლებს ხმის მიცემის პროცესი კარგად ესმოდათ. გარდა ამისა, არჩევნებს ბევრი აკრედიტირებული დამკვირვებელი, კანდიდატებისა და მედია ორგანიზაციების წარმომადგენელი აკვირდებოდა, რამაც მთლიანი პროცესის გამჭვირვალობას შეუწყო ხელი.

წამყვანმა ადგილობრივმა სადამკვირვებლო ჯგუფებმა კენჭისყრის მიმდინარეობა საარჩევნო უბნების უმეტეს ნაწილზე პოზიტიურად შეაფასეს.<sup>14</sup> თუმცა, მათ ასევე აღნიშნეს ბევრი სერიოზული დარღვევა, რომელსაც კონკრეტულ უბნებზე არჩევნების შედეგებზე პოტენციური გავლენის მოხდენა შეეძლო,<sup>15</sup> მათ შორის ამომრჩევლის მოსყიდვის, საარჩევნო ყუთში ბიულეტენების ჩაყრის მცდელობისა და ხმის განმეორებით მიცემის შემთხვევები.<sup>16</sup> NDI-ის დამკვირვებლები ჯგუფური და სხვის ნაცვლად ხმის მიცემის მოწმენიც გახდნენ. მათ ასევე გამოავლინეს ერთი შემთხვევა, როდესაც რამდენიმე პირი საარჩევნო უბანზე ხელში ბიულეტენებით შევიდა და პირადობის მოწმობის და საარჩევნო სიაში ყოფნის შემოწმების გარეშე ხმა მისცა, ხოლო შემდეგ საარჩევნო უბანი კვლავ ბიულეტენებით ხელში დატოვა. NDI-იმ ასევე გამოავლინა შემთხვევები, როდესაც მარკირება გავლილ ამომრჩევლებს ხმის მიცემის ნება დართეს, რიგის მომწესრიგებლებმა მარკირების სწორად შემოწმება ვერ შეძლეს და საუბნო კომისიის წევრებმა ამომრჩევლების მარკირება არასათანადოდ განახორციელეს.

<sup>14</sup> სამართლიანი არჩევნები: <http://www.isfed.ge/main/1456/geo/>

<sup>15</sup> სამართლიანი არჩევნები: <http://www.isfed.ge/main/1456/geo/>; საია: <https://www.gyla.ge/ge/post/saias-kentchisyris-dghis-dakvirvebis-shedegebi-2100-saartistvis#sthash.9RbH0IPu.dpbs>; საერთაშორისო გამჭვირვალობა: <https://www.transparency.ge/ge/post/saertashoriso-gamchvirvaloba-sakartvelos-gancxadeba-mimdinare-saarchevno-procesebis-shesaxeb-2>

<sup>16</sup> შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქვემო ქართლში ხმის განმეორებით მიცემის 9 სავარაუდო შემთხვევაზე გამოძიება დაიწყო.

ადგილობრივმა და NDI-ის დამკვირვებლებმა საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე პარტიებისა და საარჩევნო სუბიექტების კოორდინატორები დააფიქსირეს, რომლებსაც ამომრჩეველთა სიები ეჭირათ, ან უბრალოდ დიდ ჯგუფად იდგნენ. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი პრაქტიკა საქართველოში არჩევნების დროს ხშირია და კანონით არ იკრძალება, ადგილობრივმა დამკვირვებლებმა ასეთი ქმედების ამომრჩევლის ნებაზე პოტენციური ზეგავლენის საფრთხე აღნიშნეს. ასევე, სადამკვირვებლო ჯგუფების თქმით, ფიქსირდება მათი დამკვირვებლების საარჩევნო უბნებზე არ შემვებისა ან მათთვის დაკვირვების უფლების შეზღუდვის შემთხვევები. რამდენიმე შემთხვევაში, საუბნო საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებმა დამკვირვებლების საჩივრის რეგისტრაციაზე უარი თქვეს. ასევე დაფიქსირდა კომისიის წარმომადგენლებისა და სხვა დამსწრე პირების მხრიდან დამკვირვებლების მიმართ მუქარისა და დაშინების შემთხვევები.

ადგილობრივმა დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ უბნების უმრავლესობაზე ხმის დათვლის პროცესი შეუფერხებლად და პროცედურების დაცვით, მხოლოდ მცირედი დარღვევებით წარიმართა. ერთ-ერთ შემთხვევას NDI-ის დამკვირვებლები შეესწრნენ და ჩაიწერეს, თუ როგორ ღიად ცდილობდნენ საუბნო საარჩევნო კომისიის წარმომადგენლები შვიდი ან რვა ბიულეტენის 10-ბიულეტენად გასაღებას და ხმის დათვლის შედეგების სალომე ზურაბიშვილის სასარგებლოდ მანიპულირებას. ხმების დათვლის პროცესის დასრულების შემდეგ, ძალადობის ინციდენტები ორ ადგილას, მარნეულსა და ლაგოდეხში დაფიქსირდა. სამართლიანი არჩევნების პარალელური ხმის დათვლის თანახმად, ზურაბიშვილმა ხმების 59.1 პროცენტი, ხოლო ვაშაძემ ხმების 40.9 პროცენტი მიიღო. აღნიშნული შედეგები ცესკოს მიერ გამოცხადებულ შედეგებს ადასტურებს.

## რეკომენდაციები

სამართლებრივი ჩარჩო საერთაშორისო სტანდარტებს უმეტესწილად შეესაბამება და დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას უწყობს ხელს. სადამკვირვებლო მისიების - მათ შორის, NDI-ის მიერ წინა არჩევნებში გაცემული რიგი რეკომენდაციები შესრულდა. თუმცა, საქართველოში არჩევნების გაუმჯობესებისათვის მეტი უნდა გაკეთდეს.

საქართველოს არჩევნების ისტორიაში ორი ყველაზე მნიშვნელოვანი და დიდი ხნის მანძილზე არსებული პრობლემის - შევიწროება და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება - მასშტაბის განსაზღვრა და მათზე რეაგირება რთულია. შევიწროების მსხვერპლნი ხშირად შევიწროების ფაქტებზე ღიად საუბრისგან თავს იკავებენ, შესაბამისად, მტკიცებულებების მოპოვება რთულდება. ამის გარდა, მოქალაქეებს არ აქვთ ნდობა, რომ გამოძიება მიუკერძოებელი და სამართლიანი იქნება. ქვეყანაში, სადაც დასაქმებულების თითქმის ნახევარი სახელმწიფო სექტორში მუშაობს,

ამომრჩევლების ქცევაზე გავლენის მოხდენის ბევრი შესაძლებლობა არსებობს. ეს პრობლემა მთავრობის მხრიდან სერიოზულ და პროაქტიულ ჩართულობას მოითხოვს, რათა ცხადად დადგინდეს განსხვავება მმართველობასა და კამპანიას შორის და ყველა დონეზე საჯარო მოხელეების განათლებაში ინვესტიცია ჩაიდოს. ამ პრობლემის მოგვარება ასევე მიმდინარე რეფორმების გზით საგამომიებო და სასამართლო სისტემის ნეიტრალურობაში ნდობის გაძლიერების რთულ პროცესს მოიცავს.

29 ოქტომბერს გამოქვეყნებულ განცხადებაში NDI რამდენიმე გრძელვადიან რეკომენდაციაზე საუბრობდა, რომელიც საქართველოში საარჩევნო პროცესებისადმი ნდობის გაზრდას ისახავდა მიზნად. ეს რეკომენდაციები კვლავ ძალაშია. ამის გარდა, NDI-ის დელეგაცია დაუყოვნებლივ შესასრულებლად შემდეგ რეკომენდაციებს გასცემს:

- საარჩევნო ადმინისტრაციამ კენჭისყრისა და ხმების დათვლის პროცესის დროს გამოვლენილი სერიოზული დარღვევები გულდასმით უნდა გამოიძიოს;
- ძალადობის დაფიქსირებული შემთხვევები გულდასმით და სწრაფად უნდა იყოს გამოძიებული და დამნაშავეები დროულად უნდა დაისაჯონ, რათა ამით მსგავს შემთხვევებზე ნულოვანი ტოლერანტობის ძლიერი და ცალსახა გზავნილი იქნას გაგზავნილი.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე:

- ამომრჩევლების ნდობის მოპოვებისა და დემოკრატიულ პროცესებისადმი რწმენის განმტკიცებისთვის პარტიებმა კონსტრუქციული და საკითხებზე ორიენტირებული პლატფორმები უნდა შეიმუშაონ;
- პოლიტიკური და საარჩევნო პროცესების გაუმჯობესების მიზნით, პოლარიზაციასა და უნდობლობის საპასუხოდ მთავრობამ ისეთი ფორმატის ჩამოყალიბებაზე უნდა იფიქროს, სადაც სამთავრობო სტრუქტურებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის დიალოგი და შეთანხმება მოხდება;
- NDI-ის 29 ოქტომბერს გამოქვეყნებულ განცხადებასა და წინა ანგარიშებში რეკომენდირებული საკანონმდებლო ცვლილებების (მათ შორის საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობის დაბალანსებასთან დაკავშირებით) გარდა, მნიშვნელოვანია ისეთი საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც არჩევნების მეორე ტურის კამპანიასა და თარიღს დააზუსტებს, რათა თავიდან იქნას აცილებული გაუგებრობა და პროცესებში პოლიტიკური ჩარევის აღქმა;
- მედია გარემოს პოლარიზაციის საპასუხოდ, მნიშვნელოვანია ნაბიჯების გადადგმა, რომ შეიცვალოს მოტივაციის სისტემა და მეტი ძალისხმევა ჩაიდოს ჟურნალისტიკის გაუმჯობესებაში. საერთაშორისო დონორებმა რეგიონული

მედიისა და დამოუკიდებელი მაუწყებლების მხარდაჭერის გაზრდა უნდა განიხილოს;

- პარლამენტმა უნდა გააძლიეროს მამხილებლების დაცულობა, რათა შევიწროების მსხვერპლნი ღიად საუბრისკენ წახალისოს. მნიშვნელოვანია 2020 წლის არჩევნებამდე ამ საკითხებზე სამართალდამცავი ორგანოებისა და სადამკვირვებლო ჯგუფების თანამშრომლობის გაუმჯობესება;
- პარლამენტმა უნდა ითანამშრომლოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან და მისი საქმიანობის ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით საკმარისი ფინანსური რესურსი უნდა გამოუყოს; ასევე უნდა შემუშავდეს საკანონმდებლო ცვლილებები შემდეგ საკითხებზე: შემოწირულობის რეგულაციების დახვეწა, რომელიც პარტიებთან ან საარჩევნო სუბიექტებთან არააფილირებულ შემომწირველებს მათ შემოწირულობასთან დაკავშირებით ანგარიშვალდებულს გახდის; და აუდიტის სამსახურის უფლებამოსილების გაზრდა, რაც მას გამოძიების ჩატარების, მათ შორის - გამოუცხადებლობის შემთხვევაში სანქციების დაკისრების საშუალებას მისცემს.
- ცესკომ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მოზიდვისა და ტრენინგების გაუმჯობესება უნდა განაგრძოს.

### **დელეგაცია და მისი საქმიანობა**

NDI-ის დელეგაცია თბილისში 26 ნოემბერს ჩამოვიდა. დელეგაციის წევრებმა შეხვედრები გამართეს პოლიტიკურ ლიდერებთან, კანდიდატებთან, საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებთან, არასამთავრობო ორგანიზაციების და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან. დელეგაციამ კონსულტაციები გამართა საქართველოში არსებულ მიუკერძოებელ საარჩევნო სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან, როგორებიცაა: სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (სამართლიანი არჩევნები), საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო (TI), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) და საერთო სამოქალაქო მოძრაობა - მრავალეროვანი საქართველო (PMMG). 27 ნოემბერს NDI-ის ექვსი სადამკვირვებლო ჯგუფი საქართველოს მასშტაბით ხუთ რეგიონში გაემგზავრა. არჩევნების დღეს NDI ქვეყნის მასშტაბით საარჩევნო უბნებზე უბნის გახსნის, ხმის მიცემისა და ხმის დათვლის პროცესს დააკვირდა. დელეგაცია ამომრჩევლებს, საარჩევნო ადმინისტრაციას, კანდიდატებს, პოლიტიკური პარტიების ლიდერებს, ადგილობრივ დამკვირვებლებს და სხვა სამოქალაქო აქტივისტებს თანამშრომლობისთვის მადლობას უხდის.

NDI-ის დელეგაციის წევრები იყვნენ:

მარია ბაბიჩი, სერბეთი

ჰოლი დონალდსონი, აშშ

პერ ეკლუნდი, შვედეთი

კეტრინ ფინანი, კანადა  
ლორი ფულტონი, აშშ  
ლარა ლინდერმანი, აშშ  
მირიანა კოვაჩევიჩი, სერბეთი  
იარინა ოდინაკი, უკრაინა  
ნატაშა როთაილდი, აშშ  
სარა უოტერსონი, აშშ  
ოლექსანდრ ჟეკა, უკრაინა

ოთხი გრძელვადიანი ანალიტიკოსისგან შემდგარმა ჯგუფმა ა.წ. 17 სექტემბრიდან საქართველოს 9 რეგიონსა და თბილისში 38 ოლქი მოინახულა და ხელისუფლებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, კანდიდატებთან და პოლიტიკურ პარტიებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მედიასთან, საერთაშორისო და დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებთან შეხვედრები გამართა. NDI ასევე დააკვირდა საარჩევნო კამპანიის პერიოდში გამართულ სხვადასხვა ღონისძიებებს, საარჩევნო ადმინისტრაციის წევრთა ტრენინგებს და ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისიისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სხდომებს. NDI არჩევნების შემდგომ პერიოდში განვითარებულ მოვლენებზე დაკვირვებას გააგრძელებს.

NDI მადლობას უხდის აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), რომელმაც დააფინანსა დელეგაციის საქმიანობა. საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიასთან ერთად, NDI მხარს უჭერს სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის და სახალხო მოძრაობა - მრავალეროვანი საქართველოს სადამკვირვებლო საქმიანობას.

NDI არის არამომგებიანი, მიუკერძოებელი ორგანიზაცია, რომელიც მსოფლიოში დემოკრატიული ინსტიტუტების ხელშეწყობისა და განმტკიცებისათვის მუშაობს. NDI-ის მსოფლიოს ყველა რეგიონში 200-ზე მეტი არჩევნების სადამკვირვებლო მისია აქვს განხორციელებული, მათ შორის არაერთი შეფასება საქართველოში 1992 წლიდან.

### **NDI საკონტაქტო ინფორმაცია**

**ლორა თორნტონი, lthornton@ndi.org (+995 599 566 852)**  
**დიანა ჩაჩუა, dchachua@ndi.org (+995 577 779 639)**